**დანართი N1**

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის მედლის მინიჭების პირობები და დაჯილდოების წესი**

1. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდომში - ,,უნივერსიტეტი“) ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის მედლის მინიჭების პირობები და წესი“ განსაზღვრავს, ქართული ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში, მის აღიარებასა და პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილის აღსანიშნავად ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის მედლის მინიჭების პირობებს, წესსა და დაჯილდოების პროცედურას.

2. უნივერსიტეტის ფილიპე გოგიჩაიშვილის სახელობის მედალი (შემდგომში – ,,მედალი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის მიერ კანონმდებლობის საფუძველზე დაწესებულ საპატიო ჯილდოს.

3. მედალი შეიძლება გადაეცეს:

ა) პროფესიონალ ქართველ ან უცხოელ ეკონომისტს, ეკონომიკურ მეცნიერებაში შეტანილი წვლილისათვის და/ან უნივერსიტეტის, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის განვითარებაში აღიარებული დამსახურებისათვის;

ბ) უნივერსიტეტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის - არანაკლებ 35-40 და უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მუშაობის არანაკლებ 25 წლის გამოცდილების მქონე პირს.

4. მედლის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, ფაკულტეტის საბჭოს ან ფაკულტეტის დეკანის დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე. წარდგინებას უნდა ერთვოდეს შევსებული დაჯილდოების ფურცელი (დანართი №1).

5. სასწავლო წლის განმავლობაში შესაძლებელია გაიცეს არაუმეტეს სამი მედლისა, აქედან ერთი მაინც უცხოელ ეკონომისტზე.

6. წარდგენილი პირის დაჯილდოება ხდება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელიც ცხადდება საჯაროდ, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7. დაჯილდოებულ პირს მედალს და შესაბამის მოწმობას საზეიმოდ გადასცემს რექტორი ან მისივე თანხმობის საფუძველზე, დეკანი ან უნივერსიტეტის სხვა ოფიციალური პირი.

დანართი №1

დაჯილდოების ფურცელი

1. გვარი, სახელი, მამის სახელი

_____

2. სამუშაო ადგილი, თანამდებობა

_____
_____
_____

3. დაბადების წელი, თვე, რიცხვი და ადგილი

_____
_____
_____

4. მოქალაქეობა

_____
_____
_____

5. განათლება

_____
_____
_____

6. რომელი ორდენით და მედლით იყო დაჯილდოებული და როდის

_____
_____
_____
_____

7. მისამართი

_____
_____

ტელეფონი

ბინის _____ სამსახურის _____

8. რომელ ორდენზე ან მედალზეა წარდგენილი

_____

დამსახურება, რისთვისაც წარდგენილია ორდენზე ან მედალზე

_____

_____

_____

სახელმწიფო დაწესებულების, ორგანიზაციის

კადრების სამსახური

ბ.ა. _____